



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 1 20 0001245723



31/12/2020

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება.
2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის („მოხელის მენეჯერული უნარები“) შესახებ (დანართი №1).
3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2020 წლის 31 დეკემბრის №1245486 სხდომის ოქმის №5 ნაწილი (დანართი №2).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 31 დეკემბერს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა

